კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც სხვა ფინანსური ვალდებულებები და აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებისა და საოპერაციო ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველ აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტში სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მაჩვენებლებს.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა ვალდებულება დაიფარება ან გაუქმდება ან ვადა გასდის. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ანაცვლებს იმავე გამსესხებლის სხვა ფინანსური ვალდებულება არსებითად შეცვლილი პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დიდ წილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურება

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. კომპანია საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღირიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღირიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპონდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. კომპანია რეზერვების გაანგარიშების დროს არ ითვალისწინებს კონტრაქტებიდან წარმოქმნილ მოთხოვნებს და გაანგარიშება მოიცავს სავაჭრო მოთხოვნების შესაძლო დანაკარგის განსაზღვრას.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან, რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება, აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება.

თუ მისაღები თანხების შეგროვება მოსალოდნელია ერთ წელში ან ნაკლებში, ისინი კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე აქტივები. თუ არა, წარმოდგენილი იქნება როგორც გრძელვადიანი აქტივები. ამჟამად, ყველა კომპანიის მოთხოვნები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე აქტივებად რადგან მათი მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ფარგლებში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგები შედგება ქონებისგან რომელიც შექმნილია ჩვეულებრივი ბიზნეს საქმიანობის პირობებში გასაყიდად, რომელიც ფლობილია როგორც მიმდინარე მარაგი და შეფასებულია თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულებაში შედის მიწის, მშენებლობის, სამშენებლო ლოკაციის მომზადების, დაგეგმვისა და ღიზინის დანახარჯები და სხვა პირდაპირი დანახარჯები. ქონება რომლის სტატუსიც წინასწარ შეთანხმებულია, არ აქვს ალტერნატიული გამოყენება კომპანიისათვის რადგან ეს შეზღუდულია ხელშეკრულების პირობებით. თუმცა, გადახდის მოთხოვნის უფლება არ წარმოიშობა ქონებაზე იურიდიული უფლების მომხმარებელზე გადაცემამდე. მარაგის თვითღირებულება რომელიც მისი გასვლისას აღიარდება მოგება ან ზარალში განსაზღვრულია გაყიდული ქონების პროპორციულად და თვითღირებულება განაწილებულია გაყიდული ქონების შესაბამის ზომაზე. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შემცირებული დასრულების შეფასებული დანახარჯებით და გაყიდვის ხარჯებით.

მოძველებული მარაგების რეზერვი

ტექნოლოგიისა და მარეგულირებელი მოთხოვნების ცვლილების შედეგად მოძველებული, აგრეთვე გამოყენების ვადის ამოწურვას მიახლოებული მარაგების რეზერვი იქმნება ხელმძღვანელობის შეფასებით. იმის გათვალისწინებით, რომ მარაგების მხოლოდ იმ ნაწილის დასაწყობება ხდება, რომელიც მოკლევადიან პერიოდში არ ხდება ტექნოლოგიურად მოძველებული. მიმდინარე წელს მარაგების რეზერვები არ არის შექმნილი, ვინაიდან ასეთი მარაგები იდენტიფიცირებული არ არის.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

შესრულებულ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდას ექვემდებარება მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაწეულ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე. მიღებული ავანსებზე გადასახდელი ვალდებულებები საგადასახადო ორგანოსთან დაბეგვრას ექვემდებარება თანხის ფაქტიურად მიღების დროს, რა დროსაც შესრულებულია საგადასახადო ვალდებულება და მასთან ერთად

წარმოიქმნება აქტივი წინასწარ გადახდილი დამატებითი ღირებულების გადასახადის შესაბამისად. აღნიშნული აქტივი გამოყენებას ექვემდებარება ფაქტიურად მიწოდებული მომსახურების დროს წარმოქმნილი საგადასახადო ვალდებულების დროს, როდესაც მოხდება იმ მომსახურების მიწოდება რომლის სანაცვლოდაც მიღებულია ავანსი.

მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის ახალი, ზემოთ აღწერილი ვარიანტი აგრეთვე ითვალისწინებს მოგების გადასახადის დარიცხვას გარკვეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც მოგების განაწილებად ითვლება. ასეთებია, მაგალითად, ზოგიერთი ტრანზაქცია, რომელიც არასაბაზრო ფასით მიმდინარეობს, მოიცავს ბიზნესთან არადაკავშირებულ ხარჯებს ან საქონლისა და მომსახურების უფასოდ მიწოდებას. ამგვარი ტრანზაქციების დაბეგვრა ბასს 12 “მოგების გადასახადებით” არ რეგულირდება და 2017 წლის 1 იანვრიდან, ბასს 37-ის მოთხოვნების შესაბამისად, აღირიცხება ისევე, როგორც გადასახადები მოგების გადასახადის გარდა ტრანზაქციის განხორციელების მომენტში

ძირითადი საშუალებები

ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა, რომელიც მოიცავს აღნიშნული აქტივების ღირებულებას და იმ ზედნაღებ დანახარჯებს, რომელიც გაწეული იყო მათ საექსპლუატაციოდ. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგება-ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის შებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან რეალური ღირებულების (რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა. სხვა ძირითადი საშუალებების ჯგუფი ფინანს ანგარიშგებაში ასახულია შეფასების მეთოდის გამოყენებით.

პერიოდის ცვეთის ხარჯი

ბალანსზე აღრიცხულ ძირითად საშუალებებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებში მათ ღირებულებაზე მათი ღირებულების განაწილებით:

- საოფისე ინვენტარი - 5 წელი
- მანქანა-დანადგარები - 5 წელი
- საწარმოო ინვენტარი - 5 წელი

გადახდილი ავანსები

აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გაუქვითავია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

მიღებული ავანსები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილი მიღებული ავანსები მოიცავს კონტრაქტის პირობების შესაბამისად მიღებულ თანხებს, რომელიც მიღებულია წინასწარი ნასყიდობის კონტრაქტის საფუძველზე და არ არის გადაცემული შემსყიდველისათვის საკუთრების უფლება.

საწესდებო კაპიტალი

ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ღივილენდები

ღივილენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება საკუთარი კაპიტალს იმ პერიოდში როდესაც გამოცხადდება და დამტკიცდება

ამონაგები

ამონაგები არის კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასის თანხით. გარიგების ფასი არის ანაზღაურების ის ოდენობა, რომლის მიღების უფლებას კომპანია მოელის, რომ მოიპოვებს მომხმარებლისთვის დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ, გარდა მესამე მხარის სახელით მიღებული თანხებისა.

ამონაგები აღიარდება ფასდაკლებების და დამატებული ღირებულების გადასახადის გამოკლებით. ფიქსირებული ფასის მქონე ხელშეკრულებების შემთხვევაში მომხმარებელი იხდის ფიქსირებულ თანხას გადახდების განრიგის საფუძველზე. თუკი კომპანიის მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულება აღემატება გადახდილ თანხას, ხდება სავაჭრო მოთხოვნის აღიარება. თუკი გადახდა აღემატება გაწეულ მომსახურებას, ხდება სახელშეკრულებო ვალდებულების აღიარება. თუ ხელშეკრულება მოიცავს ცვალებად ანაზღაურებას, ამონაგების აღიარება ხდება იმ ხარისხით, რომლითაც არსებობს იმის მაღალი ალბათობა, რომ ასეთი ანაზღაურების მნიშვნელოვანი დაბრუნება არ მოხდება.

ამონაგები ბიწების გაყიდვიდან

კომპანია აშენებს და ყიდის საცხოვრებელ ბიწებს. ამონაგები აღიარდება როდესაც ქონებაზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს. ქონებას რომლის სტატუსიც წინასწარ შეთანხმებულია კომპანიისათვის არ აქვს ალტერნატიული გამოყენება რადგან ეს შეუზღუდულია ხელშეკრულების პირობებით. თუმცა, გადახდის მოთხოვნის უფლება არ წარმოიშობა ქონებაზე საკუთრებაში ჩაბარებამდე და რის შემდეგაც იურიდიული უფლება გადაეცემა მომხმარებელს. შედეგად, ამონაგები და მოკორესპონდენტო მოთხოვნა აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში როდესაც კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს. ამონაგები შეფასებულია ხელშეკრულებით დადგენილი გარიგების ფასით. ანაზღაურება მისაღებია კონტროლის გადაცემამდე. თუ საწარმო რაიმე დამატებით მომსახურებას უწევს მომხმარებელს ქონებაზე კონტროლის გადაცემის შემდეგაც, ამონაგები ასეთი მომსახურებიდან ითვლება განცალკევებულ შესასრულებელ ვალდებულებად და აღიარდება მომსახურების გაწევის გარკვეული დროის განმავლობაში.

ხარჯები

თვითღირებულების ხარჯი

ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში, როდესაც ორგანიზაციას წარმოუქმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ. თვითღირებულების ხარჯი მოიცავს მშენებლობის გახორციელებასთან დაკავშირებულ პირდაპირ დანახარჯებს, რომელიც მოიცავს პირდაპირი და დამხმარე მასალის ხარჯებს, მშენებლობასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხელფასებს, ტექნიკის ცვეთის ხარჯს და სხვა საბანკო გარანტიებზე გადახდილ საკომისიოებს.

თანამშრომელთა ანაზღაურება

ხელფასები, წლიური ანაზღაურებადი შვებულებები, შვებულება ავადმყოფობის გამო, პრემიები და არამონეტარული ბენეფიტები ირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც თანამშრომლები კომპანიას მომსახურებას უწევენ. კომპანიას არ გააჩნია რაიმე სამართლებრივი თუ კონსტრუქციული მოვალეობა, გასცეს პენსიები თუ მსგავსი ბენეფიტები. 2019 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული, კომპანია სამართლებრივად ვალდებულია, გადაიხადოს თანამშრომელთა მთლიანი ხელფასებისა და ბენეფიტების 2%-ის ტოლი საპენსიო შენატანები.

ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

- ფასს 17 - სადაზღვევო კონტრაქტები³ ;
- ფასს 10 - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და ბასს 28 (ცვლილებები)⁴ ;
- ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა (ცვლილებები)³ ;
- ფასს 3 - საწარმოთა გაერთიანება (ცვლილებები)² ;
- ბასს 16 - ძირითადი საშუალებები, (ცვლილებები)² ;
- ბასს 37 - ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და აქტივები (ცვლილებები)² ;
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2018-2012 წწ. ციკლი (ცვლილებები - ფასს 1, ფასს 9, ფასს 16, ბასს 41)² ;
- ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (ცვლილებები)³ ;
- ბასს 12 - მოგებიდან გადასახადები (ცვლილებები)³ .

1. ძალაშია 2021 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია;
2. ძალაშია 2022 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია;
3. ძალაშია 2023 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია;
4. სტანდარტების საბჭოს ძალაში შესვლის თარიღი ჯერ არ დაუდგენია; თუმცა, შესწორებათა ვადამდელი გამოყენება ნებადართულია.

ზემოთ აღნიშნულ ცვლილებების მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ფინანსურ ანგარიშგებაზე. მიმდინარე წელს კომპანიამ გამოიყენა საბჭოს მიერ გაცემული ფასს სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში ქვემოთ მოყვანილი ცვლილებები, რომლებიც ძალაშია წლიური პერიოდისთვის, რომელიც იწყება 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ. მათ მიღებას არანაირი მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია ინფორმაციის გამჭვირვაებაზე ან ამ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულ თანხებზე.

შპს კარკასი
ფინანსური ანგარიშების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შენიშვნა 3 - შემოსავალი რეალიზაციიდან

	2022	2021
ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	15,274,565	16,133,207
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	15,274,565	16,133,207

შენიშვნა 4 - ბინების ამონაგების თვითღირებულება

	2022	2021
გაყიდული ბინების თვითღირებულება	8,208,840	6,996,767
სხვა ხარჯი	20,763	50,482
სულ ბინების ამონაგების თვითღირებულება	8,229,603	7,047,249

შენიშვნა 5 - ადმინისტრაციული და სხვა ხარჯი

	2022	2021
საბანკო ხარჯი	17,308	32,178
სხვადასხვა ადმ. ხარჯები	13,717	16,019
საკანცელარიო ხარჯი	305	-
საგადასახადო ხარჯი	-	3,248
საწარმო ინვენტარის რემონტი	-	288
სულ ადმინისტრაციული და სხვა ხარჯი	31,330	51,732

შპს კარკასი
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შენიშვნა 6 - ძირითადი საშუალებები

	საოფისე ინვენტარი	მანქანა- დანადგარები	სამშენებლო ინვენტარი	ჯამი
ბალანსი 31/12/2020	453	43,695	25,429	69,576
დანამატები	-	-	-	-
აქტივების ჩამოწერა	-	(64,763)	-	(64,763)
ცვეთა პერიოდისათვის	(453)	(16,252)	(17,067)	(33,771)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	43,175	-	43,175
ბალანსი 31/12/2021	-	5,856	8,362	14,217
დანამატები	-	68,110	-	68,110
აქტივების ჩამოწერა	-	-	-	-
ცვეთა პერიოდისათვის	-	(6,744)	-	(6,744)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	-	-
ბალანსი 31/12/2021	-	67,222	8,362	75,583
ბალანსი 31/12/2021	-	5,856	8,362	14,217
ბალანსი 31/12/2022	-	67,222	8,362	75,583

შენიშვნა 7 - დაუმთავრებელი და დასრულებული მშენებლობა

	12/31/2022	12/31/2021
დაუმთავრებელი მშენებლობა	7,742,395	2,977,544
გასაყიდი ბინები	3,759,265	11,139,165
სულ დაუმთავრებელი და დასრულებული მშენებლობა	11,501,660	14,116,709

შენიშვნა 8 - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	12/31/2022	12/31/2021
სავაჭრო მოთხოვნები	(49)	17
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	2,826	833
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,777	850

შენიშვნა 9 - ფული და ფულადი ექვივალენტები

	12/31/2022	12/31/2021
ფული სალაროს ანგარიშზე	242	10,385
ფული საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	6,190	149,752
ფული საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	41,436	403,344
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	47,868	563,481

შენიშვნა 10 - სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	12/31/2022	12/31/2021
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,404,069	18,341
სახელშეკრულებო ვალდებულებები	5,434,802	11,334,603
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6,838,872	11,352,944

11. რისკის მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან: ბაზრის რისკი (შემდეგი რისკების ჩათვლით: სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები). რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ზარალის მიღების რისკი კონტრაგენტის მიერ დებიტორული დავალიანების დაუფარაობის შემთხვევაში. კომპანიის აქტივები, პოტენციურად ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც ძირითადად მოიცავს ფულად სახსრებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე კომპანიის მიმდინარე მოთხოვნები უმნიშვნელოა, რის გამოც არ ხდება მათი დარეზერვება და დანერგილი კონტროლები უზრუნველყოფს კომპანიის საკრედიტო რისკების მინიმალიზაციას.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეეძლება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის შემდგომ ფუნქციონირებადობაზე. ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების და ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების ქონას ვალდებულებების დასაფარად. ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვალიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიას დაგეგმვისას. ლიკვიდობის რისკის სამართავად კომპანია ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს. ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მასჭირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის. კომპანიის ლიკვიდურობის რისკები მინიმალურია, ვინაიდან მას გააჩნია საკმარისი ფულადი რესურსები მიმდინარე ვალდებულებების დასაფარად.

ლიკვიდურობის რისკი (გაგრძელება)

	მოთხოვნა 1 თვემდე ვადაში	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	31 დეკემბერი 2022 სულ
ფინანსური ვალდებულებები						
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,324,497	-	-	-	-	1,324,497
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,324,497	-	-	-	-	1,324,497

	მოთხოვნა 1 თვემდე ვადაში	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	31 დეკემბერი 2021 სულ
ფინანსური ვალდებულებები						
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17,458	-	-	-	-	17,458
სულ ფინანსური ვალდებულებები	17,458	-	-	-	-	17,458

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებებით. საანგარიშო პერიოდში კომპანია ფლობს უცხოურ ვალუტაში არსებულ ვალდებულებებს და მიღებულ ავანსებს. ასევე კომპანია მიღებული საქონლის შესაბამისად ანგარიშსწორებას ახორციელებს უცხოურ ვალუტაში. მიუხედავად იმისა, რომ 2021 წელს დოლარის და ევროს გაცვლითი კურსის გამყარებამ კომპანიაში წარმოქმნა ფინანსური ზარალი, კომპანიის სავალუტო რისკები მაინც არ არის მნიშვნელოვანი.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია კომპანიის უცხოური ვალუტის გადაცვლის კურსის რისკი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს. ზემოთ წარმოდგენილი ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. ითვლება, რომ არაფულადი აქტივები რაიმე მნიშვნელოვან სავალუტო რისკს.

	31 დეკემბერი 2022	
	GEL	USD 1 = 2.7020 GEL
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	6,432	41,436
სავაჭრო მოთხოვნები	2,777	-
სულ ფინანსური აქტივები	9,209	41,436
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,406,895	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,406,895	-
სულ წმინდა პოზიცია	(1,397,686)	41,436

შპს კარკასი
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

სავალუტო რისკი (გაგრძელება)

	31 დეკემბერი 2021		
	GEL	USD 1 = 3.0976 GEL	EURO 1 = 3.504 GEL
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	160,137	327,690	75,654
სავაჭრო მოთხოვნები	850	-	-
სულ ფინანსური აქტივები	160,987	327,690	75,654
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18,341	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	18,341	-	-
სულ წმინდა პოზიცია	142,646	327,690	75,654

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის მგრძნობელობა უცხოური ვალუტების მიმართ ფუნქციონალური ვალუტის 20%-ით გაძვირება/გაიაფების მიმართ 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ანალიზი ჩატარდა საანგარიშო დღეს შესაბამის ვალუტებში დენომინირებულ ფულად ერთეულებზე.

	USD ზეგავლენა	
	USD/GEL 20%	USD/GEL - 20%
მოგება/ზარალი გადასახდებამდე 2022 :	8,287	(8,287)

	USD/GEL 20%	USD/GEL - 20%	EUR/GEL 20%	EUR/GEL -20%
მოგება/ზარალი გადასახდებამდე 2021 :	65,538	(65,538)	15,131	(15,131)

12. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

მსურველ მხარეებ შორის, გარდა იძულებული გაყიდვისა, ან ლიკვიდაციისა, და მისი საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასი.

ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალური ღირებულება განისაზღვრა კომპანიის მიერ, რომელმაც გამოიყენა ბაზარზე არსებული ინფორმაცია, მისი არსებობის შემთხვევაში, და შეფასების შესაბამისი მეთოდოლოგიები. თუმცა, საჭიროა განსჯის გამოყენება იმისათვის, რომ ინტერპრეტირებული იქნეს საბაზრო მონაცემები და განისაზღვროს შეფასებული რეალური ღირებულება. საქართველო კვლავ ამჟღავნებს ჩამოყალიბებადი საბაზრო ეკონომიკის ქვეყნის მახასიათებლებს და ეკონომიკური პირობებით კვლავ იზღუდება ფინანსურ ბაზრებზე აქტივობების მოცულობა. საბაზრო კოტირებები შესაძლოა მოძველებული იყოს, ან ასახავდეს იძულებითი გაყიდვის ოპერაციებს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებას. ხელმძღვანელობამ გამოიყენა არსებული ყველა საბაზრო ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთებიანი ინსტრუმენტების შეფასებული ღირებულება ეფუძნება მომავალში სავარაუდო ფულადი სახსრების ნაკადებს, რომელთა მიღებაც მოსალოდნელია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირების მეშვეობით, იმ ახალი ინსტრუმენტებისათვის, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე.

სავაჭრო და სხვა ფინანსური დებიტორული დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს. ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ვალდებულებები. ფიქსირებული დაფარვის ვადის მქონე მიღებული სესხების, აგრეთვე, იჯარიდან წარმოშობილი ვალდებულებების, სავარაუდო რეალური ღირებულება განისაზღვრა მოსალოდნელი ფულადი სახსრების ნაკადების მიხედვით, რომელიც დისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების მეშვეობით იმ ახალი ინსტრუმენტებისათვის, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია.

13. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში კომპანიის მიმართ არსებული წაყენებული არსებითი პრეტენზიები და სასამართლო დავები იდენტიფიცირებული არ არის. საკუთარი შეფასებისა და როგორც შიდა ასე გარე კონსულტაციების საფუძველზე ხელმძღვანელობის აზრია, რომ არანაირი საფუძველი შესაძლო სასამართლო პროცესის დაწყების, რომელიც გავლენას იქონიებს წარდგენილ ანგარიშგებაზე იდენტიფიცირებული არ არის.

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

14. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

(ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);

(ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტიციის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;

(გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;

(დ) ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმადლესი რანგის ხელმძღვანელობა;

(ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

შპს კარკასი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით.

საანგარიშო პერიოდში იდენტიფიცირებული დაკავშირებული მხარეები და მათთან განხორციელებული ოპერაციები მოიცავს კომპანიის დირექტორისათვის გადახდილ ანაზღაურებას რომელმაც 2022 წელს შეადგინა 38,265 და 2021 წელს 38,265 ლარი შესაბამისად.

15. ბალანსის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების თარიღის შემდგომ აღვილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს და გარემოებებს რომელიც დამატებით საჭიროებს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენას.

მმართველობის ანგარიში

კომპანიის განვითარების გეგმები

შპს „კარკასი“ ს/წ 430029015 2014 წელს რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა კომპანიის იურიდიული მისამართია ზესტაფონი, ბარათაშვილის ქ. №41. კომპანიის საქმიანობაა საცხოვრებელი სახლების მშენებლობა და შემდგომში მათი რეალიზაცია.

შპს „კარკასი“-ს მშენებლობას ეწევა ქ. თბილისში, ძირითადად ბინები იყიდება თეთრი კარკასის მდგომარეობაში. კომპანია დაკომპლექტებულია გამოცდილი სპეციალისტებით, რომლებსაც გააჩნიათ 20-30 წლიანი გამოცდილება მშენებლობის დარგში. კომპანიას აქვს როგორც მიმდინარე, ასევე დასრულებული პროექტები. ამ ეტაპზე დასრულებული გვაქვს 3 პროექტი (რომლის საერთო ფართი შეადგენს 40000კვ.მ) და მიმდინარე 4 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი, თბილისის სხვადასხვა უბანში, რომლის სამშენებლო ფართი, შეადგენს 60000კვ.მ. ჩვენი მიზანია მშენებლობის პროცესში გამოყენებულ იქნას მაღალი ხარისხის ეკოლოგიურად სუფთა, ენერგოეფექტური, უმაღლესი ხარისხის ISO სერთიფიკატის სამშენებლო მასალები.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა;

კომპანია რეგულარულად ახორციელებს ბაზრის კვლევას, რათა კარგად შეისწავლოს მომხმარებელთა მოთხოვნილებები და მაქსიმალურად მოარგოს თავისი შეთავაზებები ბაზრის საჭიროებებს. ყოველი მომდევნო წლის ოპერაციების დაგეგმვისას კომპანია იყენებს არსებულ გამოცდილებას, ბაზრის ანალიზს და შესაბამისად საზღვრავს მომდევნო წლის აქტივობებს. ასევე რეგულარულად ახორციელებს მომხმარებლების კმაყოფილების კვლევებს სხვადასხვა საინფორმაციო არხების გამოყენებით, რათა მომხმარებელს შესთავაზოს უფრო მეტად კონკურენტული და მათ მოთხოვნებზე მორგებული პროდუქტი და მომსახურება.

სამშენებლო ბიზნესი და უძრავი ქონების რეალიზაცია ერთ-ერთ წამყვან პოზიციას იკავებს დღევანდელ ეკონომიკურ გარემოში, ამიტომ ჩვენ მუდმივად ვცდილობთ გავაგრძელოთ სვლა პროგრესის კვალდაკვალ და ვიყოთ უფრო მეტად კონკურენტულები ბაზარზე. გასულ პერიოდში თუ მომხმარებლის მოთხოვნა მეტწილად დაბალბიუჯეტაან საცხოვრებელ სახლებზე იყო დღესდღეობით სულ უფრო მეტად აქტუალური ხდება პრემიუმ სახის საცხოვრებელი კომპლექსები, რომელიც სხვა მრავალ უპირატესობას მოიაზრებს. ჩვენ მუდამ ვცდილობთ ვიცოდეთ ყველა ჩვენი პროექტის კონკურენტული უპირატესობა და შევძლოთ მომხმარებლის მოთხოვნის ზუსტი კვლევა და შემდგომ მისი მორგება ჩვენს პროექტებზე.

სოციალური პასუხისმგებლობა

უპირველესი სოციალური პასუხისმგებლობა, რომელიც უშუალო საქმიანობას უკავშირდება, მომხმარებლებისათვის საიმედო მომსახურების გაწევაა. ასევე სოციალური პასუხისმგებლობის თვალსაზრისით კომპანია მუდმივად ახორციელებს თანამშრომლების უსაფრთხოებაზე ზრუნვას და პასუხისმგებლობას იღებს თანამშრომლების უსაფრთხოებასა და კეთილდღეობაზე.

აუცილებელი ძირითადი ფინანსური და არა ფინანსური მაჩვენებლები

შპს „კარკასი“ მისი დაფუძნების თარიღიდან დაწყებული, ყოველწლიურად ანვითარებს საქმიანობას. კომპანიაში სტაბილურად იზრდება ბრუნვა, ასევე სტაბილურია აქტივების და თანამშრომლების რაოდენობა.

2022 წელს კომპანიაში დასაქმებული იყო 80-მდე ადამიანი. კომპანია სტაბილურად ინარჩუნებს დასაქმებულთა რაოდენობას.

კომპანია ასევე მუდმივად ზრუნავს მომხმარებლის კმაყოფილებაზე და ხშირად ახორციელებს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს, რომელიც ემსახურება გაყიდვების წახალისებას.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

სავალუტო რისკი

სავალუტო კურსის ცვლილება და მისი გავლენა კომპანიის ოპერაციებზე ერთ-ერთი მნიშვნელოვან რისკად განიხილება. ქვეყანაში ვალუტის კურსის არა სტაბილურობა ხშირ შემთხვევაში ბიზნეს უქმნის დამატებით ბარიერებს. ჩვენ ვთვლით რომ სავალუტო რისკები ყველა ბიზნესისათვის მნიშვნელოვან რისკად რჩება და ჩვენ ყველა ვცდილობთ ამ რისკებთან გამკლავებას, რაც ძირითადად გამოიხატება მუდმივად საკმარისი ფულადი ნაკადების მოზილიზების გზების ძიებაში.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკების მინიმიზაციისთვის კომპანიაში ფუნქციონირებს შიდა აუდიტის დეპარტამენტი. ხორციელდება მარაგების და სხვა ნებისმიერი აქტივის რეგულარული გადამოწმება, დადასტურება და გადახრის ან ხარვეზის შემთხვევაში დაუყოვნებელი რეაგირება.

თანამშრომელთა უსაფრთხოებაზე ზრუნვა

სამშენებლო ინდუსტრიაში მოღვაწე კომპანიებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს მშენებლობის პროცესზე დასაქმებული კადრების უსაფრთხოება და იმ სტანდარტების დაცვა რომელიც საშუალებას მისცემს ბიზნესს უსაფრთხო ფუნქციონირების.

ტექნიკური პერსონალის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, კომპანიამ შეიძინა ევროსტანდარტების შესაბამისი კოლექტიური და ინდივიდუალური დამცავი საშუალებები: საგზაო ბარიერები, ნიშნები და კონუსები მზის აკუმულატორები სახანძრო სტენდები ინვენტარით ელექტროუსაფრთხოების პლაკატები და ნიშნები. მომუშავე პერსონალისთვის პირველადი სამედიცინო დახმარების აფთიაქები, რომლითაც ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალება და ობიექტი აღიჭურვა.

კორპორატიულ-სოციალური პასუხისმგებლობა

კომპანია აცნობიერებს თავის კორპორატიულ პასუხისმგებლობას და თვლის, რომ შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს საზოგადოების მდგრად განვითარებაში. კომპანია ითვალისწინებს ძირითად დაინტერესებულ მხარეებს (კლიენტებს, თანამშრომლებს, კრედიტორებსა და ფართო საზოგადოებას) სამუშაო სტრატეგიის შემუშავებისა და ოპერაციების გაუმჯობესებისათვის. კომპანია მუდმივად უწევს დახმარებას საერთაშორისო ჰუმანიტარული ქსელს კათარზის თბილისში. „ელემენტ კონსტრაქშენი“ თანამშრომლობს ქვეყნის წამყვან უნივერსიტეტებთან და პროფესიულ კოლეგებთან, რათა მიიზიდოს ნიჭიერი ახალგაზრდები. კომპანიას კავშირი აქვს თავისუფალ უნივერსიტეტთან, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ტექნიკურ უნივერსიტეტთან. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ მონაწილეობა სტაჟირების პროგრამებში და ისარგებლონ კომპანიაში მიღებული პრაქტიკული გამოცდილებით.

კადრების გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება

კომპანია დიდ ყურადღებას უთმობს კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას. სწორედ ამიტომ, კომპანიამ თანამშრომლებისთვის პროფესიული გადამზადების არაერთი კურსი ჩაატარა. ტრენინგების შედეგია ის, რომ თანამშრომლებმა შეძლეს ცოდნის გაღრმავება და მოახერხეს იმ უნარების გაუმჯობესება, რაც დაკისრებული სამუშაოს შესრულებისას მნიშვნელოვან როლს თამაშობს.